ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2643078

ნომერი: AR1404920

თარიღი : 16.05.2016

გაცემის თარიღი : 15.06.2016

გაცნობის თარიღი : 15.06.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 9/11 , ქუჩა საადი N2, (ნაკვეთი N64/41) / ქალაქი თბილისი , სამღებროს ქ. N9/11, საადისქ. N2 , ნაკვ. N64/41-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გურეშიძე პ/ნ 01024012484
- თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 37

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 904428
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.09.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N9/11, საადის ქ. N2 (ნაკვეთი N64/41), სამღებროს ქ. N9/11, საადის ქ. N2, ნაკვ. N64/41–ის მიმდებარედ საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არ არის სრულად გამოსწორებული სამსახურის 18.05.2016 წლის №2600847, 24.05.2016 წლის №2609620 და 25.05.2016 წლის №2615800 გადაწყვეტილებებით დადგენილი ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა მომიჯნავედ არსებული შენობის გადახურვასთან დაკავშირებული ლითონის კონსტრუქციის მოწყობის თაობაზე (თქვენს მიერ ატვირთულ წერილებში არ არის თანხმობა სახურავის მოწყობასთან დაკავშირებით);
2. აგრეგატების ამსახველი წარმოდგენილი ფოტომასალა არ იძლევა საკითხზე სრულყოფილად მსჯელობის საშუალებას

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ვერ დააკმაყოფილებს.

სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ საკითხი განმეორებით იქნება განხილული.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.